

ონკოლოგია

ლიმფური სისტემის ავთვისებიანი სიმსივნეები

გუგული ჩხოზაძე

ნათია არაბიძე

ბერდია ბერძენიშვილი

berdiaberdenishvili@gmail.com

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქუთაისი, საქართველო

ბოლო წლებში სხვადასხვა დაავადების რაოდენობის მატებასთან ერთად განსაკუთრებით აღინიშნება ონკოლოგიურ დაავადებათა მკეთრად მაღალი მაჩვენებელი, მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ლიმფური სისტემის ავთვისებიანი სიმსივნეების დიდი პროცენტული მაჩვენებელი. ლიმფური სისტემის მთავარ ფუნქციას წარმოადგენს ორგანიზმის დაცვა ინფექციებისგან. მთავარ ფუნქციურ ელემენტს წარმოადგენს სისხლის უჯრედი ლიმფოციტი, რომლის ფუნქციას და რაოდენობრივ გამრავლებას ორგანიზმი არეგულირებს, სხვადასხვა მიზეზთა გამო ზოგჯერ მიმდინარეობს ლიმფოციტების უკონტროლო გამრავლება რაც იწვევს ლიმფური სისტემის სიმსივნეების განვითარებას. აღინიშნება ხოჩკინის ლიმფომა და არახოჩკინის ლიმფომა, რომლებიც ვითარდება თითქმის ყველა ასაკში ამახასიათებელი კლინიკური გამოვლინებით. აკ. ზ. ცხაკაიას სახ. დასავლეთ საქართველოს ინტერვენციული მედიცინის ცენტრში ბოლო წლებში დადასტურებულია ავთვისებიანი ლიმფომის 70-ზე მეტი შემთხვევა, პაციენტებს ჩატარდათ სრულყოფილი გამოკვლევა და უტარდებოდა შესაბამისი მკურნალობა ევექსის ონკოლოგიურ ცენტრში. კვლევისა და მკურნალობის მეთოდების სრულყოფილი და თავისდროული ჩატარება ავადმყოფობის სტაბილიზაციის და გამოჯანმრთელების საშუალებას წარმოადგენს.

საკვანძო სიტყვები: ავთვისებიანი ლიმფომა, ხოჩკინის ლიმფომა, არახოჩკინის ლიმფომა, კვლევისა და მკურნალობის მეთოდები.

ლიმფური სისტემის მთავარ ფუნქციას წარმოადგენს ორგანიზმის დაცვა ინფექციებისგან. ლიმფური სისტემა რთული აგებულებისაა და მის შემადგენლობაში მოიცავს ლიმფურ კვანძებს, ძვლის ტვინს, ელენთას, ნუშურა ჯირკვლებს და მკერდუკანა ჯირკვალს. ყველა ეს ორგანო ერთმანეთთან დაკავშირებულია ლიმფური მილებით. ლიმფურ მილებში მოძრაობს თეთრი ფერის სისხლის უჯრედები - ლიმფოციტები. ისინი აქტიურად იცავენ ორგანიზმს ვირუსებისა და ინფექციისაგან (ხარძეიშვილი 2005: 28-49).

არსებობს ლიმფოციტების ორი ტიპი T და B ლიმფოციტები. ორივე ტიპის უჯრედის გამომუშავება ხდება ძვლის ტვინში. ისინი წარმოადგენს მოუმწიფებელ უჯრედებს. T ლიმფოციტების მომწიფება ხდება მკერდუკანა ჯირ-

კვალში, ხოლო B ლიმფოციტების - ძვლის ტვინში და ლიმფურ კვანძებში (Краевский 1982).

ლიმფომა ეწოდება ლიმფური სისტემის ონკოლოგიურ დაავადებას, როდესაც ორგანიზმი სხვადასხვა მიზეზების გამო ვეღარ არეგულირებს ლიმფოციტების უკონტროლო გამრავლებას, შედეგად ლიმფურ კვანძებში იწყება სიმსივნის განვითარება (ბურკაძე 2006: 253-277; Lymphoma 2018).

ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის კლასიფიკაციის შესაბამისად ლიმფური სისტემის სიმსივნეები იყოფა ორ დიდ ჯგუფად: ხოჩკინის და არა-ხოჩკინის ლიმფომებად, რომელთა კლინიკური სურათი და მკურნალობა განსხვავებულია.

ლიმფომის განვითარების რისკ-ფაქტორებში განიხილება:

1. მამაკაცების ასაკი 45 წლის ზემოთ.
2. სისხლში ჰემოგლობინისა და ლიმფოციტების რაოდენობის დაქვეითება.
3. სისხლში ლეიკოციტების რაოდენობის მომატება.
4. ლიმფომის განვითარების რისკი მეტია ქიმიურ მრეწველობაში დასაქმებულ პირებში.

ლიმფომისათვის დამახასიათებელია როგორც პირველადი კერის არსებობა ასევე მეტასტაზების ჩამოყალიბება და მთელს ორგანიზმში მოთესვა - დისემინაცია.

ლიმფომით ავადმყოფობის კლინიკურ სიმპტომებს წარმოადგენს

1. დაღლილობა, ზოგადი სისუსტე.
2. ლიმფური ჯირკვლების უმტკივნეულო გადიდება საზარდულის, კისრის, კუნთქვეშა და მუცლის მიდამოებში.
3. კანზე წითელი ელფერის გამონაყარი, ქავილი.
4. გულისრევა, პირღებინება.
5. ხველა, სუნთქვის გამწვანება.
6. ტკივილი მუცლისა და წელის არეში.
7. წონის დაკარგვა.
8. ოფლიანობა ღამის საათებში.
9. სხეულის ტემპერატურის მომატება.

ხოჩკინის ლიმფომა ინფექციური ავადმყოფობა არ არის, ერთი ადამიანიდან მეორეზე არ ვრცელდება (გამონაკლისს წარმოადგენენ ტყუპები სადაც ხოჩკინის გამოვლენის რისკი მეტია). ხოჩკინის ლიმფომის პირველი სიმპტომები გამოვლინდება ლიმფური ჯირკვლების უმტკივნეულო გადიდებით კისრის, საზარდულის და კუნთქვეშა მიდამოებში, შემდეგ გამოვლინდება წონის დაკარგვა, ოფლიანობა ღამის საათებში, მაღალი ტემპერატურა, ქავილი და ასე შემდეგ. როგორც წესი, ხოჩკინის ტიპის ლიმფომა მკურნალობას ექვემდებარება-

რება. დადებითი გამოსავალი რეალურია მაშინაც კი, როცა დაზიანებულია სხვა შინაგანი ორგანოებიც (The updated (2008).

არახოჩკინის ტიპის ლიმფომა შეადგენს ყველა ონკოლოგიურ დაავადებათა 3%-ს. ლიმფომით დაავადებულთა შორის 20%-თ მეტია არახოჩკინის ტიპის ლიმფომით დაავადებით შემთხვევები. ბოლო წლებში აღინიშნება აღნიშნული პათოლოგიის მნიშვნელოვანი მატება, მიზეზი დღემდე ძირითადად გაურკვეველია, მაგრამ მნიშვნელოვან ფაქტორებს წარმოადგენს გარკვეული იმუნოდეფიციტი (სპიდ-ი, სხვადასხვა აუტოიმუნური დაავადება), ვირუსული ავადმყოფობა, ბაქტერიული ინფექციების მატება, სხვადასხვა ფიზიკური და ქიმიური ფაქტორების (რადიაცია, სხივური თერაპია), სამკურნალო საშუალებების (ციტოსტატიკური თერაპია) ზემოქმედება (Cancer 2016).

არახოჩკინის ინდოლენტური ტიპის ლიმფომებს ახასიათებს ნელი და შედარებით უკეთესი მიმდინარეობა, არ ესაჭიროება სპეციალური მკურნალობა. არსებობს ასევე აგრესიული ტიპის ლიმფომები სწრაფი პროგრესირებით, სიმპტომების სიმრავლით, ითხოვს მკურნალობის სასწრაფოდ დაწყებას. ასევე გვხვდება ექსტრანოდალური ლიმფომები, სადაც პირველადი პროცესი ვითარდება არა ლიმფურ კვანძებში არამედ სხვადასხვა ორგანოებში: ელენთაში, კუჭში, ნაწლავებში, ფილტვებში, თავის ტვინში და სხვა.

ლიმფური სისტემის დაზიანების ავთვისებიანი მიმდინარეობის პოტენცი-ალის განსაზღვრისათვის (საყოველთაოდ მიღებული საერთაშორისო კლასი-ფიკაცია - აშშ ANN-ARBOR) მოწოდებულია ოთხი სტადია:

I-სტადია - სიმსივნური პროცესი აღინიშნება ერთ ორგანოში ან ლიმფური კვანძების შემოსაზღვრულ რეგიონში.

II-სტადია - დაზიანება მოიცავს დიაფრაგმის ერთ მხარეზე განლაგებულ ორ შემოსაზღვრულ რეგიონულ ლიმფურ კვანძებზე მეტს.

III-სტადია - სიმსივნურ დაზიანებას ექვემდებარება დიაფრაგმის ორივე მხარეზე განლაგებული ლიმფური კვანძები.

IV-სტადია - სიმსივნური დაზიანება აღინიშნება შინაგან ორგანოებში და ორგანოთა სისტემებში.

ლიმფომების დიაგნოსტიკის მეთოდებს წარმოადგენს:

1. ექიმის კონსულტაცია.
2. სისხლის სრულყოფილი გამოკვლევა.
3. რენტგენოგრაფია
4. კომპიუტერული ტომოგრაფია.
5. მაგნიტურ-რეზონანსური ტომოგრაფია.
6. ლიმფანგიოგრაფია.
7. დაზიანებული ლიმფური ქსოვილის ბიოფსიური მასალის პათომორ-ფოლოგიური და იმუნოჰისტოქიმიური მეთოდებით გამოკვლევა.
8. ზურგის ტვინის ბიოფსიური მასალის გამოკვლევა.

ლიმფური ქსოვილის სიმსივნეების მკურნალობა მიმდინარეობს ქიმიოთერაპიის, სხივური თერაპიის, ძვლის ტვინის გადანერგვის და ბიოლოგიური თერაპიის საშუალებით (Lymphoma - Patient 2018).

აკ. ზ. ცხაკაიას სახ. დასავლეთ საქართველოს ინტერვენციული მედიცინის ეროვნულ ცენტრში უკანასკნელი 3 წლის მანძილზე დაფიქსირდა ავთვისებიანი ლიმფომის 73 შემთხვევა (უნდა აღინიშნოს რომ ავადმყოფთა გადინება ხდება როგორც ქვეყნის დედაქალაქში ასევე სხვა ქვეყნებში), დაავადების მნიშვნელოვანი მატება აღინიშნება ბოლო წლებში და განსაკუთრებით მამაკაცებში. დაავადება ზოგადად აღინიშნება თითქმის ყველა ასაკში, (50% - 40-60 წლის ასაკში, 25% - 40 წლამდე, 25%- 60 წლის ზევით). ჩვენს კლინიკაში ავადმყოფობა ძირითადად გვხვდება საშუალო და ხანშიშესულ ასაკში. ხოჩკინის ლიმფომა აღინიშნება დაახლოებით 15% შემთხვევაში, სხვა შემთხვევებში აღინიშნება არახოჩკინის ლიმფომა (ყველაზე მეტად - დიფუზურ დიდუჯრედოვანი ლიმფომა).

ლიმფომების მკურნალობა მიმდინარეობს კომბინირებული ფორმით: ქიმიოთერაპია + იმუნოთერაპია (მონოკლონური ანტისხეულებით - რიტუქსიმაბი, ბრენტუქსიმაბი).

თავისდროული და სისტემური მკურნალობის პირობებში პაციენტების გარკვეული რაოდენობა საბოლოოდ განიკურნა, მრავალს გაუხანგძლივდა სიცოცხლის წლები, ხოლო ფატალური შედეგები აღინიშნა ავადმყოფთა ორგანიზმში პოლიორგანული უკმარისობის შედეგად.

დასკვნა: 1.ლიმფური სისტემის ავთვისებიანი სიმსივნეების მნიშვნელოვანი მატება აღინიშნება; 2. დაავადების დროული დიაგნოსტიკისა და შესაბამისი მკურნალობის ჩატარების შემთხვევაში აღინიშნება დაავადების სტაბილიზაციისა და პაციენტთა მნიშვნელოვანი გაუმჯობესების შედეგები; 3. დაავადების პირველი სიმპტომების გამოჩენის შემთხვევაში აუცილებელია პაციენტმა მიმართოს სამკურნალო დაწესებულებას.

ლიტერატურა:

Краевский 1982: Краевский Н.А. Патолого-анатомическая диагностика опухолей человека. Москва, 1982.

ხარძეიშვილი 2005: 28-49 ხარძეიშვილი ო.მ. კლინიკური პათოლოგიური ანატომია, 2005წ. თბილისი, 28-49 გვ.

ბურკაძე 2006: 253-277 ბურკაძე გ.მ. ტურაშვილი გ. ორგანოების სისტემების პათოლოგია, 2006 წ. თბილისი, 253-277გვ.

Lymphoma 2018: Lymphoma / American Cancer Society. ელ. რესურსი. მოძიებულია 5.06.2018. მის.: <https://www.cancer.org/cancer/lymphoma.html>

Lymphoma - Patient 2018: Lymphoma - Patient Version / National Cancer

institute. ელ. რესურსი. მოძიებულია 5.06.2018. მის.: <https://www.cancer.gov/types/lymphoma>

Cancer 2016: Cancer Council Australia, May 25, 2016. ელ. რესურსი. მოძიებულია 5.06.2018. მის.: <https://www.cancer.org.au/news/media-releases/evidence-drives-sweeping-changes-to-melanoma-treatment-recommendations.html>

The updated (2008): The updated (2008) WHO lymphoma classification. ელ. რესურსი. მოძიებულია 5.06.2018. მის.: https://m4.ti.ch/fileadmin/DSS/DSP/ICP/pdf/Relazioni_fuori_sede/2008/lymphoma_classification_2008.pdf

Oncology

Malignant Tumours of the Lymphatic System

Guguli Chkhobadze

Natia Arabidze

Berdia Berdzenishvili

berdiaberdzenishvili@gmail.com

Akaki Tsereteli University

Kutaisi, Georgia

In recent years, with the increase in the number of different diseases, high rates of oncologic diseases have been observed. A high percentage of malignant tumours of the lymphatic system is especially worthy of note. The major function of the lymphatic system is protection of the body from infections. The main functional element is the blood cell lymphocyte. Its function and quantitative reproduction are regulated by the body. Sometimes, due to various reasons, there is uncontrolled reproduction of lymphocytes which leads to the development of tumours of the lymphatic system. Two types of lymphoma - Hodgkin's lymphoma and Non-Hodgkin lymphoma develop in almost every age group with specific clinical manifestations. In recent years more than 70 cases of malignant lymphoma have been identified at Z. Tskhakaia Centre of Interventional Medicine of West Georgia. The patients have gone through comprehensive examination and are receiving relevant treatment at Evex Oncology Centre. Comprehensive and timely application of the methods of examination and treatment is the means of stabilization of the disease and recovery.

Keywords: Malignant lymphoma, Hodgkin's lymphoma, Non-Hodgkin lymphoma, Methods of Examination and treatment.

The main function of the lymphatic system is protection of the body from infections. The lymphatic system is characterized by a complex structure and consists